ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა
საერთაშორისო ორგანიზაციებთან
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

MISSION PERMANENTE DE LA GEORGIE
AUPRES DE L'ONU ET DES AUTRES
ORGANISATIONS INTERNATIONALES A GENEVE

14047-49-3-201903251651

№ 14047-49
25/03/2019

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს **ბატონ შალვა ბურდულს**

ბატონო შალვა,

თქვენი მ.წ. 21 მარტის 13406-01 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ მ.წ. 21 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში (WHO) გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის ფარგლებში პარალელური ღონისძიებების დაგეგმვის თაობაზე, რომელსაც ესწრებოდა მისიის მრჩეველი, ეკატერინე ხოსიტაშვილი.

შეხვედრაზე WHO-ს სამდივნოს წარმომადგენლის მიერ აღინიშნა, რომ ასამბლეის ფარგლებში *(ასამბლეის პროგრამა მზადდება და წევრ ქვეყებს დაეგზავნებათ უახლოეს პერიოდში)* **20-21 მაისს პარალელური ღონისძიებები არ დაიგეგმება** და **შესარჩევი პროცესის დასრულების შემდეგ, ღონისძიების თარიღზე/დროზე შეთავაზებები წევრ ქვეყნებს გაეგზავნებათ მოგვიანებით.**

ამასთანავე, WHO-ს სამდივნოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პარალელური ღონისძიებების შერჩევისას ორგანიზაციის მმართველი ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას და როგორც გენერალურ დირექტორთან კონსულტაციით შეთანხმდა, რეკომენდირებულია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ მიმართულებებზე:

- Green and Sustainable Climate change;
- Improving Health Emergencies;
- Global Action Plan for “Health and Wellbeing for All”;
- Nagoya Protocol;
- Mental Health;
- Investments in creating jobs in health sector;
- Potential of Public Health;

შეხვედრაზე წევრი ქვეყნების მიერ გაჟღერდა ამ ეტაპზე არსებული წინადადებები პარალელური ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით:

- **ამერიკის შეერთებული შტატები** UNAIDS-თან ერთად გეგმავს ღონისძიების ორგანიზებას ვაქცინაციაზე უარის თქმის შესახებ;
- **ეთიოპია და ესვატინი** - “Emergency Care and Trauma Care”;

რიხარდ ვაგნერის ქ. 1, 1202 ჟენევა, შვეიცარია ‖ Rue Richard Wagner 1, 1202 Genève
ტელ./Tel: +41 (22) 919-10-10; ფაქსი/Fax: + 41 (22) 733-90-33; ელ-ფოსტა /E-mail: geomission.geneva@mfa.gov.ge

- **ზამბია** - “Water Sanitation and Health Care Facilities”;
- **სენეგალი** (ბენინი, კაბო ვერდე, საფრანგეთი, მოზამბიკი, რუანდა) - მალარია;
- **შვეიცარია** - ორი ღონისძიება „partnership on health system towards UHC emergencies¨(რომელიც დასრულდება მაღალი დონის შეხვედრით) და „sustainable financing of UHC”;
- **ესტონეთი** - “Global Alcohol policy”;
- **საქართველო** - „Georgia as a model country for universal access to C hepatitis Screening and Treatment”;
- **ტაილანდი, იაპონია, კენია** - “Universal Health Care”. ღონისძიებაზე, ასევე, განხილულ იქნება მ.წ. სექტემბერში ნიუ-იორკში დაგეგმილი მაღალი დონის შეხვედრა უნივესალური ჯანდაცვის შესახებ;
- **ინდონეზია** - “effective implementation UHC to follow WHO guidelines”;
- **მაროკო** - „cervical cancer”;
- **ზიმბამბვე** - „financial sustainability for UHC”;
- **კოლუმბია** - „migration, health and development”;
- **კუბა** - „Development of Primary Health Care”;
- **ბანგლადეში** - „Innovations and better coordination for health system”;
- **სამხრეთ კორეა, მექსიკა, ნიდერლანდები, ინდონეზია** - „Access to medicines and health products”.

საქართველოს წინადადებით დაინტერესდა ჟენევაში ისლანდიის მუდმივი წარმომადგენლობის დესპანი ჯანდაცვისა და შრომის საკითხებში, ანა ლილია გუნარსდოტირი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს პარალელური ღონისძიების კონცეფციას გაუზიარებს ისლანდიის ჯანდაცვის უწყებას და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მოგვაწვდის პოზიციას ღონისძიების დასპონსორების შესახებ.

აქვე, ინფორმაციისთვის გიგზავნით ინფორმაციას მ.წ. 20 მარტს WHO-ში გამართული შეხვედრის შესახებ, რომელიც ეხებოდა კონგოს დემოკრატიულ რესპულიკაში ებოლას ვირუსის გავრცელებას.

გთხოვთ, წინამდებარე ინფორმაცია და დანართი გაგზავნოთ დანიშნულებისამებრ.

დანართი: 59 გვერდი.

პატივისცემით,
ვიქტორ დოლიძე

მუდმივი წარმომადგენელი